საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

ანგარიში

2025

მისამართი: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი, N2
ცხელი ხაზი: (+995 32) 2 200 220 (3335)
ელ.ფოსტა: REGISTRATION@MANDATURI.GOV.GE
ვებ-გვერდი: WWW,MANDATURI.GOV.GE

მანდატურის სამსახურის მთავარი მიზანია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალი, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემის პრინციპს, პასუხობს მოსწავლეთა ემოციურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა პირის უფლებების დაცვას.

გასულ წლებში, მანდატურის სამსახურში სოციალური მუშაობისა და ინკლუზიური განათლების კომპონენტების ინტეგრირებამ, საფუძველი ჩაუყარა თანამშრომლობაზე დაფუძნებული, ბავშვის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური მიდგომების დანერგვას. ეს მოიცავს, როგორც ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ისე ფსიქოსოციალურ მომსახურებას მოსწავლეებისთვის, მშობლებისთვის და მთელი სასკოლო საზოგადოებისთვის. შედეგად, სამსახური ჩამოყალიბდა ძალადობის პრევენციის, მასზე ეფექტიანი რეაგირებისა და მხარდაჭერის ერთ-ერთ წამყვან ინსტიტუციად ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში.

ამჟამად, სამსახურის საქმიანობა სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს:

- **უსაფრთხოების კომპონენტი** - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები ზრუნავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე, ახორციელებენ პრევენციულ ღონისძიებებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ეფექტურ რეაგირებას შესაძლო დარღვევებზე, ინციდენტებსა და კონფლიქტებზე.
- **ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი** დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური ბავშვთა ფსიქოლოგებითა და ფსიქიატრებით, ასევე სოციალური მუშაკებით, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების კეთილდღეობისა და სასკოლო გარემოში წარმატებული ინტეგრაციისათვის, მოსწავლეთა ქცევითი და ემოციური სირთულეების მართვა, ოჯახისა და სასკოლო თემის მხარდაჭერა ფსიქოლოგიური და სოციალური მუშაობის კუთხით.
- **ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი** სამსახურს 2024 წელს დაემატა. ცენტრში განხორციელდა ინკლუზიური განათლების მიმართულებით განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში არსებული მომსახურებების კონსოლიდაცია, მათ შორის: მულტიდისციპლინური გუნდის, ინტეგრირებული კლასების სუპერვაიზორებისა და მასწავლებლის სახლის ინდივიდუალური კონსულტანტების გაერთიანება. შედეგად, ერთ სივრცეში შექმნა რესურსების კოორდინირებული მართვისა და ეფექტიანი გამოყენების პირობები.

უსაფრთხოების კომპონენტი - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები

დღეისათვის, მანდატურის სამსახური წარმოდგენილია საქართველოს 720 საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს მოსწავლეთა 90 პროცენტზე მეტი, ასევე, 2 კერძო სკოლასა და 1 პროფესიულ კოლეჯში. მცირეკონტინგენტიან სკოლებში უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ სკოლის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირები. საანგარიშო პერიოდში, 78 პირი გადამზადდა მანდატურის სამსახურის სპეციალისტების მიერ.

2025 წელს, გასული წლების მსგავსად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურები, სკოლებში ძალადობის პრევენციის მიზნით, სხვადასხვა მტკიცებულებაზე დაფუძნებული მეთოდებითა და მიდგომებით, სისტემატურად ატარებდნენ საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრებსა და ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და მშობლებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ძალადობის, მათ შორის - ბულინგის, კიბერბულინგის, სიძულვილის ენის გავლენის შედეგები, პრევენცია და რეაგირება; ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, სტერეოტიპები, ადამიანის უფლებები; ადრეული ქორწინება; საგზაო უსაფრთხოება; ეფექტიანი კომუნიკაცია და სხვა. აღნიშნულ აქტივობებში, ყოველწლიურად, ათასობით მოსწავლე, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი და მშობელი ერთვება.

საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების, ასევე, მანდატურის სამსახურის დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს კოორდინატორების მიერ ჩატარდა:

- გაცნობითი ხასიათის 1566 შეხვედრა I კლასის მოსწავლეებთან.
- 8760 შეხვედრა საგზაო უსაფრთხოების თემაზე, I-VIII კლასების მოსწავლეებთან.
- რეგულარული სასკოლო აქტივობები მოსწავლეებთან, ისეთ თემებზე, როგორიცაა: ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა, ძალადობა, ბულინგი, კიბერბულინგი, ადრეულ ასაკში ქორწინება, ადამიანის უფლებები, ბავშვთა უფლებები. წლის განმავლობაში, ტრენერი მანდატურების მიერ ჩატარებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 22 000-მდე მოსწავლემ. აქედან:
  - ✓ 13 შეხვედრა ჩატარდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან ერთად, სადაც 856 მოსწავლესთან განიხილეს პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფისა და კიბერბულინგის საკითხები.
- ქალაქ თბილისის, 14 წელს ზემოთ 50-მა მოსწავლემ და 50-მა მშობელმა მონაწილეობა მიიღო, მანდატურის სამსახურის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში" მხარდაჭერით, გამართულ ღონისძიებაში - „როგორ ვებრძოლოთ ბავშვთა მიმართ ძალადობას, მათ შორის ონლაინ".
- 29 შეხვედრა სკოლების დირექტორებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საქმიანობის შესახებ. შეხვედრებს დაესწრო 1122 მსმენელი.

საანგარიშო პერიოდში, მოსწავლეებში ძალადობის პრევენციის, თანასწორობის განმტკიცებისა და ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით:

- 2025 წლის ივნისში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით, საქართველოს მასშტაბით, ტრენერმა მანდატურებმა/კოორდინატორებმა VII-VIII კლასის 1247 მოსწავლესთან გამართეს საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები ბავშვის უფლებების თემაზე. შეხვედრების შემდეგ, საქართველოს მასშტაბით, 23 საჯარო სკოლაში გაიმართა აღნიშნულ თემატიკაზე VII-VIII კლასის მოსწავლეების მიერ მომზადებული ნამუშევრების გამოფენა.
  გარდა ამისა, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ზესტაფონში, ქალაქ ხაშურსა და ქალაქ რუსთავში გაიმართა მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში თანასწორობის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 18 საჯარო სკოლის X კლასის 90 მოსწავლე.

- 2025 წლის ნოემბერში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით დაიწყო ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციის ერთობლივი კამპანიის – „მე მომავალში“ განხორციელება, რომელიც 2026 წელსაც გაგრძელდება.

კამპანიის ფარგლებში, გაიმართა საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრები, ესსეების და კომიქსების კონკურსი, ვიქტორინა და სპორტული ღონისძიებები, რომლებიც მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და პასუხისმგებლიანი ქცევის განმტკიცებას ემსახურება.

კამპანიის ფარგლებში, მანდატურის სამსახურის სოციალურმა მუშაკებმა, ფსიქოლოგებმა, მანდატურებმა და მართლწესრიგის ოფიცრებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით 60 საჯარო და 2 კერძო სკოლაში გამართეს საინფორმაციო შეხვედრები, სადაც VI-IX კლასის (11-14 წელი) 3300-მდე მოსწავლეს მიეწოდა ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობის, ასერტულობის, სოციალური წნეხის ამოცნობისა და გააზრების თაობაზე.

- 2025 წლის ნოემბერში, „თანასწორობის კვირეულის“ ფარგლებში განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები, რაც მოსწავლეებში, არადისკრიმინაციული მიდგომებისა და ადამიანის უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად. საქართველოს საჯარო სკოლებში აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით, მოეწყო ბავშვების მიერ მომზადებული პოსტერებისა და ნახატების გამოფენები. ამას, წინ უძღოდა ტრენერი მანდატურებისა და კოორდინატორების მიერ 600-მდე მოსწავლესთან ჩატარებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები.

  ასევე, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მცხეთის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ქუთაისში გაიმართა მოსწავლეთა შორის ინტელექტუალური თამაში თანასწორობის შესახებ. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 12 საჯარო სკოლის X კლასის 60-მა მოსწავლემ, გამარჯვებულ გუნდებსა და მონაწილეებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

- 2025 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საქართველოს მასშტაბით, „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი გლობალური კამპანიის“ ფარგლებში, ტრენერი მანდატურებისა და სამსახურის სხვა სპეციალისტების მიერ, გაიმართა საინფორმაციო-საგანმანათლებლო შეხვედრები 600-მდე საჯარო სკოლის მოსწავლესთან ადრეული ქორწინების თემაზე. კამპანია დასრულდა მოსწავლეების მიერ შექმნილი ნახატებისა და პოსტერების გამოფენით.

  გარდა ამისა, „ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის 16-დღიანი გლობალური კამპანიის“ ფარგლებში, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა კიბერბულინგის, ონლაინ შევიწროების, პირადი მონაცემების უსაფრთხოებისა და ციფრულ სივრცეში თავდაცვის მექანიზმების საკითხებზე 40 მოსწავლესა და მათ მშობლებთან. ღონისძიება ჩატარდა მანდატურის სამსახურის ორგანიზებითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით. სესიების ფარგლებში, აღნიშნულ საკითხებზე ვიქტორინა გაიმართა და გამარჯვებულ მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

მანდატურის სამსახური დიდ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლების განგრძობითი განათლების უწყვეტ პროცესს, რომელიც ხორციელდება როგორც შიდა რესურსით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, კერძოდ:

- ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა სწავლების პროგრამით ტრენერად გადამზადდა 21 მანდატური, რამაც ხელი შეუწყო შიდა ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებას.
- ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, „ონლაინ სექსუალური ძალადობის“ თემაზე ტრენერთა ტრენინგი გაიმართა, რომელსაც ესწრებოდა 20 თანამშრომელი (მანდატურები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები).
- გაეროს მოსახლეობის ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურისთვის განახლდა საგანმანათლებლო მოდული ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და რეფერირების საკითებზე, რომელსაც დაემატა ტექნოლოგიებით ჩადენილი ძალადობის იდენტიფიცირების, რეაგირებისა და პრევენციის შესახებ სესია. მოდული დამტკიცდა მანდატურის სამსახურის უფროსის ბრძანებით 2025 წელს. ამ მოდულზე დაყრდნობით, ტრენერად გადამზადდა 20 თანამშრომელი. ტრენერად გადამზადებულმა მანდატურებმა, თავის მხრივ, 700-ზე მეტი მანდატური გადაამზადეს ოჯახში ძალადობისა და გოგონათა მიმართ ძალადობის საკითხებზე.
- ტრენერი მანდატურებისა და დაგეგმარებისა და ანალიზის სამმართველოს თანამშრომლების მიერ გადამზადდა: 187 მანდატური ადამიანის უფლებების, დისკრიმინაცის, სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის საკითხებზე; 174 მანდატური და 7 კოორდინატორი პრობლემური ქცევისა და სუბკულტურის შესახებ და 356 მანდატური ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აგრძელებს მაღალკვალიფიციური, უფასო ფსიქოსოციალური მომსახურების მიწოდებას საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართული სხვა პირებისთვის.

დღეისათვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი, წარმოდგენილია 13 ლოკაციაზე (თბილისი - 2, თელავი, გურჯაანი, საგარეჯო, რუსთავი, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ახალციხე), ხოლო სოციალური მუშაობის კომპონენტით - წარმოდგენილია 91 საჯარო სკოლაში.

ცენტრში დასაქმებულია 53 ფსიქოლოგი, 3 სასკოლო თემთან მომუშავე ფსიქოლოგი, ბავშვთა და მოზარდთა 2 ფსიქიატრი და 3 პროფესიული ზედამხედველი ფსიქოლოგიური მუშაობის მიმართულებით, ასევე, 104 სოციალური მუშაკი, რომელთაგანაც 6 რაიონული კოორდინატორია და 6 პროფესიული ზედამხედველი სოციალური მუშაობის მიმართულებით.

ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი ახორციელებს როგორც პრევენციულ, ისე ინტერვენციულ ღონისძიებებს ინდივიდუალურ, ჯგუფურ და სასკოლო დონეზე.

ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს 24 საათიანი ცხელი ხაზი: 08 00 00 00 88, რომლის მიზანია ბენეფიციარებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევა და კომპეტენციის ფარგლებში, მომსახურების მიმღებთათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება. საანგარიშო პერიოდში, 24 საათიან ცხელ ხაზზე მიღებულია 485 შეტყობინება. საკონსულტაციო მომსახურება, ასევე, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის (befriend.mes.gov.ge) მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სრულ კონფიდენციალურობას ონლაინ სასაუბროში.

წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში რეაგირებისთვის სულ შემოვიდა 6188 ახალი შემთხვევა. აქედან, 4960 შემთხვევის რეფერირება განხორციელდა სკოლებიდან, ხოლო 1228 ბენეფიციარმა ცენტრს მიმართა თვითდინებით და/ან იდენტიფიცირებულ იქნა ცენტრის თანამშრომლის მიერ.

მაღალი მომართვიანობის საპასუხოდ, 2025 წელს, მანდატურის სამსახურმა დანერგა სტრუქტურირებული ტრიაჟის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მომსახურების ეფექტიანობისა და შედეგიანობის გაზრდას. სისტემა შექმნილია იმისათვის, რომ შემთხვევები პრიორიტეტულად განისაზღვროს მათი გადაუდებლობისა და საჭიროების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სპეციალისტების რესურსების ოპტიმალურ განაწილებას. ამ კუთხით:

- შემუშავდა ტრიაჟის ადაპტირებული ინსტრუმენტი (ASAP მოდელის საფუძველზე);
- შემთხვევების კატეგორიზაციისთვის დადგინდა მკაფიო კრიტერიუმები;
- გადამზადდა ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტები - ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისგან შემდგარი ჯგუფი.

2025 წელს, აქტიურად გაგრძელდა ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფური თერაპიული მომსახურება და მშობელთა კონსულტირება/ფსიქოგანათლება. ცენტრის ბაზაზე განხორციელდა 242 ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფური სესია და 50 მშობელთა ფსიქოგანათლებისა და ფსიქოკონსულტირების ჯგუფი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში ფუნქციონირებას აგრძელებს კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია კრიზისული შემთხვევების ადგილზე შეფასება, სიტუაციის პირველადი მართვა, შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა. გუნდი, საჭიროებისამებრ, მუშაობს მოსწავლეთა მშობლებთან და სკოლასთან. ასეთი მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ბავშვებსა და მოზარდებში ფსიქოლოგიური ტრავმის ჩამოყალიბების რისკს. 2025 წლის განმავლობაში, ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლების მიერ, კრიზისული ინტერვენციის ფარგლებში, განხორციელდა 27 ვიზიტი სკოლებში, ქვეყნის მასშტაბით.

2025 წლის განმავლობაში, მანდატურის სამსახური აქტიურად განაგრძობდა სკოლებში სოციალური მუშაობის კომპონენტის დანერგვასა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერებას. ეს საქმიანობა მიზნად ისახავს მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და მასწავლებლების მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა სოციალური განვითარებისთვის ხელშემშლელი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრას.

2025 წელს, მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით დამატებით 11 საჯარო სკოლაში შევიდა. შედეგად, ამ ეტაპისთვის, სოციალური მუშაობა ხორციელდება საქართველოს 91 საჯარო სკოლაში.

საანგარიშო პერიოდში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური სკოლებში ახორციელებდა სოციალურ მუშაობას ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირება, ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ხელშეწყობა, ბულინგის პრევენცია, სარისკო ქცევების პრევენცია, მშობელთა და მოსწავლეთა ჩართულობის ხელშეწყობა და სხვა. მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბება შესაძლებელს ხდის, სკოლაში გაუმჯობესდეს მოსწავლის სწავლის ხარისხი.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების (ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები) მიერ, სასკოლო /საკლასო ინტერვენციის ფარგლებში, შემთხვევებზე რეაგირების მიზნით, საჭიროებისამებრ, განხორციელდა - 2933 ვიზიტი სკოლებში, ხოლო ოჯახებში - 3839 ვიზიტი.

2025 წლის გაზაფხულის სემესტრში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურმა მუშაკებმა, თბილისის 25 და მცხეთის 2 საჯარო სკოლაში, ჩაატარეს სკოლის საჭიროებების შეფასება, რაც გულისხმობდა სასკოლო გარემოსა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის პირობების იდენტიფიცირებას. შეფასება განხორციელდა ფოკუსირებული შეხვედრების მეთოდით სასკოლო საზოგადოების ყველა წევრთან: მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და ადმინისტრაციასთან/დირექციასთან.

შეფასების საფუძველზე, განისაზღვრა სკოლებთან თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ძირითადი მიმართულებები, მათ შორის:

- თანასწორი სასკოლო გარემოს ფორმირება და მოსწავლეთა ფსიქოსოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობა.
- ბულინგზე რეაგირების გაუმჯობესება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.
- სკოლის თვითმმართველობის გააქტიურება და მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებაში ჩართულობის გაზრდა.
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა წამახალისებელი აქტივობების დაგეგმვა.
- მშობლების ჩართულობის წახალისება სასკოლო ცხოვრებაში საინფორმაციო შეხვედრების გზით, მათ შორის სსსმ და შშმ მოსწავლეების მშობლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება.
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და ფორმალურ აქტივობებში ჩართვის ხელშეწყობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი აგრძელებს მუშაობას სკოლებში აღდგენითი პროცესების დანერგვის მიმართულებით. აღნიშნული მიდგომა სკოლებს სთავაზობს ახლებურ ხედვას, რომელიც ორიენტირებულია არა დასჯა/სახდელზე, არამედ ურთიერთობების აღდგენაზე, საჭიროებების მიგნებასა და გააზრებაზე, ურთიერთპატივისცემის დანერგვასა და მეგობრული გარემოს შექმნაზე. აღდგენითი მიდგომა ბევრ მნიშვნელოვან კომპონენტს მოიცავს, მათ შორის, უნდა აღინიშნოს სასკოლო მედიაცია საგანმანათლებლო სივრცეში, რაც აღდგენითი პროცესების, კონფლიქტებზე რეაგირების და მათი კონსტრუქციული გზით გადაჭრის ერთ-ერთი საუკეთესო მექანიზმია. მედიაციის პროცესს მანდატურის სამსახურის გადამზადებული სპეციალისტები უძღვებიან.

2025 წლის განმავლობაში, სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სპეციალისტების მიერ, მათი მხარდაჭერითა და სუპერვიზიით, ჩატარდა სხვადასხვა მიზანსა და ამოცანაზე ორიენტირებული ღონისძიებები. საინფორმაციო, საგანმანათლებლო, შემეცნებით, სპორტულ, სადისკუსიო და საინტერვენციო აქტივობაში ჩაერთო: 10 541 მასწავლებელი; 1327 დირექციის წარმომადგენელი; 141 795 მოსწავლე; 27 630 მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. კერძოდ:

მოსწავლეებისთვის - გაიმართა ტრენინგები ემპათიის, ემოციების მართვისა და ეფექტური კომუნიკაციის თემებზე; განახლდა კლასის ფასეულობები; გააქტიურდა თვითმმართველობები და შეიქმნა კლუბები; ჩატარდა თემატური შეხვედრები ბავშვთა უფლებებზე, ადამიანის უფლებებზე, პროფორიენტაციაზე და სხვ. გაიმართა სხვადასხვა ტიპის კონკურსი, ფილმების ჩვენებები და დისკუსიები; მოეწყო პროაქტიული, მისალმების და განხილვის წრეები და სხვა.

მასწავლებლებისა და ადმინისტრაციისთვის - ჩატარდა ტრენინგები სარისკო და დესტრუქციული ქცევის პრევენციაზე/რეაგირებაზე, კრიზისული სიტუაციების მართვაზე, ბულინგის სქემასა და ანტიდისკრიმინაციულ მიდგომებზე. პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია

LSCI მეთოდისა და აღდგენითი მიდგომების შესახებ, რაც ხელს უწყობს მოწყვლადი მოსწავლეების იდენტიფიცირებასა და მათზე დროულ რეაგირებას.

მშობლებისთვის - გაიმართა შეხვედრები პოზიტიური მშობლობის, მოზარდობის ასაკის სპეციფიკის, ძალადობის, მათ შორის ბულინგის ნიშნების ამოცნობისა და პრევენციის თემებზე. მშობლები ინფორმირებული იქნენ სსსმ/შშმ მოსწავლეთა მხარდამჭერი მექანიზმებისა და მომსახურებათა განახლებული რუკის შესახებ.

2025 წლის განმავლობაში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურ მუშაკთა მიერ, სკოლაში საქმიანობის განხორციელების დროს გამოკვეთილი საკითხების, სოციალურ მუშაკთა სემესტრული საქმიანობის შეჯამებისა და სამომავლო გეგმებზე შეთანხმების მიზნით, მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან და სასწავლო პროცესში ჩართულ სხვა სუბიექტებთან.

სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში, გაგრძელდა ნივთიერებების ავადმოხმარების პრევენციაზე მიმართული ორი პროგრამის განხორციელება:

- 13 წლამდე ასაკის მოსწავლეებისათვის პროგრამა მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით (EU DAP Unplugged Program) „ცოცხალი შესრულებით, ანუ ფონოგრამის გარეშე“ სრულად ჩაუტარდა 18 საჯარო სკოლის 459 მოსწავლეს. ასევე, აღნიშნული პროგრამა ჩაუტარდა 10 საჯარო სკოლის 108 მშობელს.
- 13 წლის ზევით მოზარდებისთვის - „სარისკო ქცევების პრევენციის“ პროგრამით გათვალისწინებული სესიების რაოდენობა სრულად ჩატარდა საქართველოს 127 საჯარო სკოლის 151 კლასში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3000-მდე მოსწავლემ.

სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში, მე-4, მე-5, მე-6, მე-9, მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებისთვის სოციალურმა მუშაკებმა განაგრძეს ცხოვრებისეული

უნარების განვითარების პროგრამის განხორციელება. 2025 წლის განმავლობაში, პროგრამით გათვალისწინებული სესიები სრულად ჩატარდა საქართველოს 80 საჯარო სკოლის 606 კლასში (მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 14 242).

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკები, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, აქტიურად განაგრძობდნენ მოსწავლისთვის სტატუსის შეჩერებამდე სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების მომართვის საფუძველზე შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას, მათ შორის: მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩასართავად დასახული ღონისძიებების გაუტარებლობის მიზეზების დადგენას და/ან მიღწეული შედეგების მდგრადობის შეფასებას; მოსწავლის ოჯახში ვიზიტს; ვიზიტის თაობაზე ანგარიშის მომზადებას; სამოქმედო გეგმის შედგენასა და შემაჯამებელი დასკვნის მომზადებას. შესაბამისად, 2025 წლის განმავლობაში რეაგირება მოხდა 430 მომართვაზე, აქედან:

- მოსწავლის სტატუსის შეჩერების რისკი აღმოიფხვრა 214 შემთხვევაში;
- მოსწავლეს სტატუსი შეუწყდა 98 შემთხვევაში;
- 118 შემთხვევაზე მიმდინარეობს მუშაობა სტატუსის აღდგენის მიზნით;
- ზემოაღნიშნული შემთხვევებიდან, 104 შემთხვევაში დამატებით ჩაერთო სხვა შესაბამისი უწყება/მომსახურება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მანდატურის სამსახურმა უზრუნველყო განგრძობითი განათლების უწყვეტი პროცესი ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის ფსიქოლოგთა, სოციალურ მუშაკთა და ფსიქიატრთა პროფესიული უნარების გასაძლიერებლად, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სპეციალისტების კომპეტენციების გაძლიერებას და შესაბამისად სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეებისთვის უფრო ეფექტური და თანამედროვე ფსიქოსოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ორგანიზებით ბათუმში გაიმართა ტრენერთა ტრენინგი ონლაინ სექსუალური ძალადობის ადრეული ნიშნების ამოცნობასა და ეფექტური რეაგირების საკითხებზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მანდატურის სამსახურის ოცმა თანამშრომელმა (მანდატურებმა, ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა). სწავლების პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებით მონაცემების პოტენციური მანიპულირებისა და ბოროტად გამოყენების საკითხებს და შესაბამის დამცავ მექანიზმებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მულტიდისციპლინური და კოორდინირებული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის დროული და ხარისხიანი სერვისების მიწოდების საკითხებზე მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრისა და ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა.

გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისა და უკრაინიდან ლტოლვილი ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის საკითხებზე.

ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, ადამიანის უფლებათა სწავლებაზე ტრენერთა ტრენინგი გაიარა ჩვიდმეტმა სოციალურმა მუშაკმა და ორმა ფსიქოლოგმა.

გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, მანდატურის სამსახურის სპეციალისტებმა (25 თანამშრომელმა) - ფსიქოლოგებმა და სოციალურმა მუშაკებმა გაიარეს ტრენინგი „ტრავმირებული ბავშვებისა და მოზარდების ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქოსოციალური დახმარება“.

მანდატურის სამსახურის 14-მა სოციალურმა მუშაკმა, ბავშვებთან მომუშავე სხვა პროფესიონალებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ტრენინგში, სახელწოდებით „მდუმარების დარღვევა – ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალური და ქცევითი ცვლილების საშუალებით“. აღნიშნული ტრენინგი ჩატარდა ევროპის საბჭოს პროექტის „ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ ფარგლებში, რომლის მიზანი იყო მონაწილეებისთვის სოციალური ქცევითი მეცნიერების პრინციპებისა და მეთოდების გაცნობა, რათა ქცევითი ანალიზი მათ უფრო ეფექტიანად გამოიყენონ საქმიანობაში.

2025 წლის განმავლობაში სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტებისთვის კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა. პარალელურად, უმაღლეს სასწავლებლებთან (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მჭიდრო თანამშრომლობით, მანდატურის სამსახურმა სოციალური მუშაობის მიმართულების სტუდენტთა პრაქტიკული მომზადება უზრუნველყო..

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი

2025 წელს ინკლუზიური და სპეციალური განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრი აქტიურად განაგრძობდა პირების/მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების (სსსმ) იდენტიფიცირებას ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების გზით, ასევე მშობლებსა და მოსწავლეებთან დაკავშირებული სხვა პირების კონსულტირებას და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მომსახურებების განვითარებას.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში არსებული მომსახურებები მისაწვდომია მთელი ქვეყნის მასშტაბით. მიმდინარე ეტაპზე ცენტრში დასაქმებულია:

- 57 ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი;
- 3 ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით, კერძოდ: 1 სმენის, 1 მხედველობის, 1 კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის მიმართულებით;
- 4 ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი სპეციალიზებული საკონსულტაციო მიმართულებით, კერძოდ, ინტეგრირებული კლასის სერვისის სუპერვიზორები, რომლებიც მუშაობენ აუტისტური სპექტრის აშლილობის, სმენის სირთულეებისა და ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაციის საჭიროების მქონე მოსწავლეებთან/ბავშვებთან. მომსახურების ფარგლებში, ყოველკვირეულ პროფესიულ მხარდაჭერას უწევენ ინტეგრირებული კლასის სპეციალისტებს, მოსწავლეების/ბენეფიციარების მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებსა და განათლებაში ჩართულ სხვა პირებს;
- 14 ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი - ქცევის კონსულტანტები, რომლებიც ახდენენ რთული ქცევის მქონე მოსწავლეებისა და მათ განათლებაში ჩართული პირების კონსულტირებას უშუალოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.

მხარდამჭერი მომსახურებების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინიცირებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 4 ივნისის N 28/ნ ბრძანებით დამტკიცდა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების განხორციელების წესი და პირობები.

2025 წლის ბოლოს, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურმა მომავალი პირველკლასელების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის იდენტიფიცირების მიზნით შეფასების ახალი სტანდარტიზირებული ინსტრუმენტის დანერგვა დაიწყო. აღნიშნული შეფასების ინსტრუმენტი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყანაში და გამოირჩევა მაღალი სიზუსტითა და ეფექტიანობით. ინკლუზიური და

სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების 57 თანამშრომელი გადამზადდა ახალი სტანდარტიზებული ინსტრუმენტის გამოყენების საკითხებში „განვითარების შესაფასებელი ქართულ ნორმებზე ადაპტირებული ტესტის ET 6-6-R შესწავლა“, რომლის მიზანია 6 წლამდე ასაკის ბავშვების განვითარების შეფასება შემდეგ სფეროებში: მსხვილი მოტორიკა, ნატიფი მოტორიკა, კოგნიტური სფერო, მეტყველების განვითარება, სოციო-ემოციური სფერო.

არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, შემუშავდა ფსიქოსაგანმანათლებლო მომსახურების გაწევის პროცესში თარჯიმნის ჩართულობის გზამკვლევისა და თარჯიმნის ეთიკური კოდექსის პროექტები. ამავე ორგანიზაციის მხარდაჭერით შემუშავდა ხარისხის შიდა მონიტორინგის სისტემისა და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტების უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის სახელმძღვანელოები.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, მაკ ჯორჯიას მხარდაჭერით მომზადდა 10 თემატური ტექსტი ვიდეორგოლებისთვის, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ჟესტურ ენებზე. აღნიშნულიდან, 2025 წელს, მომზადებულია 3 ვიდეორგოლი, ნათარგმნია აზერბაიჯანულ, სომხურ და ქართულ ჟესტურ ენებზე და განთავსებულია მაკ ჯორჯიას იუთუბის არხზე.

2025 წელს, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში შემოვიდა სულ 2695 მომართვა ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების თაობაზე, მათ შორის, სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შესახებ, კერძოდ:

- 2612 მომართვა ეხებოდა პირის/მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება/გადაფასებას, მათ შორის 2026 მომართვა შეფასებას და 586 გადაფასებას.

- 83 მომართვა ეხებოდა სპეციალიზებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევას ქცევის, მხედველობის, სმენის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების მიმართულებით. მათ შორის: კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის მიმართულებით - 8 მომართვა; მხედველობის დარღვევის მიმართულებით - 4, სმენის დარღვევის მიმართულებით - 2 და ქცევის კონსულტირების მიმართულებით - 69 მომართვა.

გარდა ამისა, ცენტრის შიდა გადამისამართების ფარგლებში განხორციელდა 143 მომართვა ქცევის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების; სმენისა და მხედველობის სირთულეების მიმართულებით, მათ შორის, კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების დარღვევის თაობაზე - 90 მომართვა; მხედველობის დარღვევის მიმართულებით - 6; სმენის დარღვევის მიმართულებით - 5 და ქცევის კონსულტირების მიმართულებით - 42 მომართვა.

საანგარიშო პერიოდში სულ მომზადდა და მომართვის სუბიექტთან გაიგზავნა 3908 შეფასების დასკვნა.

პირველკლასელთან რეგისტრაციის ყველა ეტაპზე, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრში (სამმართველო) შემოვიდა 1250 მომართვა. მათ შორის, პირველ ეტაპზე შემოვიდა 995 პირის მომართვა, რომელთაგან სტატუსი დაუდასტურდა 930 პირს, II, III და IV ეტაპზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით ცენტრში შემოვიდა 255 მომართვა.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის პერიოდში, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველო) მიერ მომსახურება გაეწია 360 აპლიკანტს. აქედან, 17 აპლიკანტს არ დაუდასტურდა, ხოლო 288 აპლიკანტს დაუდასტურდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაეგზავნათ შესაბამისი რეკომენდაციები, დანარჩენი 55 აპლიკანტის შემთხვევაში, შეფასების პროცესში თავად განაცხადეს უარი სტატუსის განსაზღვრაზე.

საანგარიშო პერიოდში, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში შემოვიდა 1471 მომართვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ინკლუზიური განათლებაში ჩართული სპეციალისტის შესარჩევ კონკურსში მანდატურის სამსახურის ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტის ჩართვის თაობაზე, ყველა მომართვაზე განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერ ცენტრში, არსებული ცხელი ხაზის საშუალებით, რეაგირება მოხდა 1600-ზე მეტ ზარზე და დაინტერესებულ პირებს გაეწიათ შესაბამისი კონსულტირება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოებისთვის მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების

მხარდამჭერმა ცენტრმა გამართა 10-ზე მეტი ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა (ვებინარი), რომელსაც დაესწრო 5000-მდე მონაწილე, მათ შორის სკოლის ადმინისტრაციის/დირექციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.

ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის მიერ ჩატარდა 5 ვორქშოპი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტებისთვის, კერძოდ ენისა და მეტყველების სპეციალისტებისთვის, სპეციალური მასწავლებლებისა და ფსიქოლოგებისთვის. ჯამში, შეხვედრას დაესწრო 64 სპეციალისტი 45 საჯარო სკოლიდან.

საანგარიშო პერიოდში, აქტიურად ხორციელდებოდა აუტისტური სპექტრის აშლილობისა და სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის განსაზღვრულ ინტეგრირებულ კლასებში (სულ 11 საჯარო სკოლა), ასევე ა(ა)იპ - ბავშვთა ჰოსპისში „ციცინათელების ქვეყანა“ და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ქრონიკული დაავადების მქონე ჰოსპიტალიზებული ბავშვებისათვის განათლების მიწოდების პროცესის რეგულარული პროფესიული მხარდაჭერა. ყოველი თვის ბოლოს, თითოეულ სკოლასთან იგზავნებოდა საკონსულტაციო მომსახურების ანგარში, სადაც პროცესების მართვისა და ეფექტიანად განხორციელების მიზნით სპეციალისტის მიერ გაცემულია რეკომენდაციები.

მიმდინარე წელს, მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს, სსიპ - ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლასა და უსინათლოთა გერმანულ ინსტიტუტს (ბლისტა) შორის. მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, გაიმართა უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეთა განათლების ხელშეწყობის სიმპოზიუმი გერმანელი პროფესორების მონაწილეობით. ასევე, 2025 წელს მანდატურის სამსახურის 2

წარმომადგენელი (ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების მომსახურების მენეჯერი და ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი მხედველობის დარღვევის მიმართულებით) მივლინებით იმყოფებოდა უსინათლოთა გერმანულ ინსტიტუტში (ბლისტა) პროფესიული განვითარების და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ორგანიზებით გაიმართა „ინკლუზიური განათლების კონფერენცია“. ღონისძიების ფარგლებში, განხილულ იქნა ინკლუზიური განათლების მიმართულებით არსებული პრაქტიკა, გამოწვევები და შესაბამისი პროგრამების განვითარების შესაძლებლობები.

კონფერენციას ესწრებოდნენ განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლები, სასკოლო საზოგადოების, ასევე რესურსსკოლების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2025 წელს, ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის მიერ საქართველოს საჯარო სკოლებში ჩატარდა მოკვლევა ინკლუზიური განათლების სიტუაციური ანალიზის მომზადების მიზნით. გარდა ამისა, განხორციელდა მოკვლევა ინტეგრირებული კლასების სიტუაციური ანალიზის მიზნით. ორივე მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებები და საყურადღებო შემთხვევები ფართო საზოგადოების წინაშე გაზიარდა ინკლუზიური განათლების კონფერენციაზე.

2025 წლის განმავლობაში, მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდებისა და რეფერირების მექანიზმის ფარგლებში, მანდატურის სამსახური აგრძელებდა მჭიდრო თანამშრომლობას შესაბამის სახელმწიფო და არასამთავრობო უწყებებთან. საჭიროებიდან გამომდინარე, ხორციელდებოდა კონკრეტული შემთხვევების ერთობლივი განხილვა.

კოორდინირებული თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები, სკოლებში უსაფრთხოების კუთხით არსებულ გამოწვევებთან, მათი დაძლევის გზებთან და მანდატურის სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, სისტემატურად მართავდნენ შეხვედრებს რესურსცენტრებთან, სკოლის დირექტორებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეთა მშობლებთან.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური აგრძელებს განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას, რათა ხელი შეუწყოს ჯანსაღი, უსაფრთხო, მეგობრული და ზრუნვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემოს განმტკიცებას.